საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-18/26

ქ. ბათუმი 04 თებერვალი, 2020 წ.

,, ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 22 იანვრის N 01-18/07 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N 02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის N01-11/51 ბრძანების, „2019 წლისათვის ბსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 27 ნოემბრის N01-08/171 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 22 იანვრის N01-02/06 ბრძანებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის გოჩა სურგულაძის 2020 წლის 24 იანვრის №70912 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ,,ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 22 იანვრის N 01-18/07 ბრძანების პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   ,,ე) „პირველადი დახმარება ყველგან და ყველასთვის“ - პროექტის ავტორი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი რუსუდან ფარტენაძე ბიუჯეტი: 4400 ლარი (დანართი N5);“

2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ,,ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 22 იანვრის N 01-18/07 ბრძანების ,,დანართი N5''-ის პირველი პუნქტის ,,1.1“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.1 პროექტის ხელმძღვანელი: რუსუდან ფარტენაძე.“

3. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ,,ბსუ-ს 2019-2020 სასწავლო წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 22 იანვრის N 01-18/07 ბრძანების ,,დანართი N5''-ის მე-5 პუნქტის ,,1.1“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1	სტუდენტები (რუსუდან ფარტენაძე, ქეთევან ცეცხლაძე)	2	50	100	100		100

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტსა და პროექტის ხელმძღვანელს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ა. მითაიშვილი